26/07/2022

# დახმარება უკრაინიდან ლტოლვილებს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ორგანიზაცია ,,დავითიანნმა“ დაიწყო ჰუმანიტარული მისიის მეორე ეტაპის ორგანიზება საქართველოში მყოფი დევნილი უკრაინელი მოსახლეობისათვის.

25 ივლისიდან სამების ეკლესიის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საინფორმაციო-ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი, სადაც დახმარების გაწევა შეუძლია ყველა მსურველს, ნებისმიერი ფორმით – იქნება ეს საკვები, მედიკამენტები, ტანსაცმელი თუ სხვა საჭირო ნივთი, რომლის დახარისხებას და გაცემას უზრუნველყოფენ ,,დავითიანნისა“ და ორგანიზაცია ,,ჩვენი უკრაინა” -ს მოხალისეები.

ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მართმადიდებლური ქრისტიანული ორგანიზაცია IOCC -ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა 1000 ერთეული 100 ლარიანი სუპერმარკეტების ქსელის ვაუჩერის შეძენა, რომელიც. გაიცემა დევნილ უკრაინელებზე შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ორსულები, მარტოხელა დედები,

ოჯახები მცირეწლოვანი შვილებით, შშმ პირები, 60 წლის გადაცილებულები



ოვეელოში







[patriarchate.ge](patriarchate.ge)